პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 ივლისი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 140 (9551) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მეგობრობის დღესასწაული

ისინი ჯერ პატარები არიან, მაგრამ ბევრი მათგანის სახელი უკვე საქვეყნოდაა ცნობილი. ბევრსაც ახლა, ამ ოც დღეში გავიცნობთ. მათს სპორტულ ბიოგრაფიაში თვალსაჩინო წარმატებების სათვალავი სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებიდან დაიწყება.

ამ ოც დღეში, დღეიდან 10 აგვისტომდე, ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო სპორტული ბაზები ქვეყნის ნორჩ სპორტსმენთა დიდი ფორუმის მონაწილეთა და ორგანიზატორთა განკარგულებაში იქნება.

ეს ღონისძიება, რომელიც დიდი ოქტომბრის 70-ე წლისთავს ეძღვნება, ნორჩ სპორტსმენთა ადრინდელი ასპარეზობებისგან მრავალმხრივ არის გამორჩეული. მას საფუძვლად უდევს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნები, ძიება, სრულყოფისკენ სწრაფვა, დაჩქარება, რაც თვით სპორტის ბუნებიდან გამომდინარეობს.

საქართველო ინტერნაციონალური რესპუბლიკაა. ქვეყნის ნორჩი თაობის საუკეთესო წარმომადგენლების ამ გრანდიოზულ თავყრილობასაც ინტერნაციონალური მეგობრობის სულისკვეთება დაამშვენებს.

მრავალფეროვანია დასვენების, შეხვედრების, კულტურული ღონისძიებების პროგრამა, მასპინძელი კი მთელი რესპუბლიკაა. მთელი რესპუბლიკა, თუნდაც იმიტომ, რომ ნორჩ სპორტსმენთა შეჯიბრებები თბილისის გარდა ჩატარდება აჭარასა და აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

ჩვენი გაზეთი შეეცდება დაწვრილებით გააშუქოს თამაშები. ცხადია, მკითხველებს მხოლოდ მოსწავლეთა სპორტულ შედეგებზე არ მოვუთხრობთ. გაზეთის ფურცლებზე ადგილს დავუთმობთ სპორტული დელეგაციების ყოველდღიურ ცხოვრებას. გვინდა შთაბეჭდილებები გაგვიზიარონ წარსულში მოსწავლეთა სპორტული ფორუმების მონაწილეებმა. რაღა თქმა უნდა, სიტყვას მივცემთ სპეციალისტებს — ისინი ხომ ყველაზე უკეთ ხედავენ თანამედროვე სპორტში მიმდინარე პროცესებს, რომელთა ნიშანდობლივი ტენდენცია გაახალგაზრდავება გახლავთ.

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

# ბათუმი ეთხოვება ტანმოვარჯიშეებს

„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი ლევან ქავჟარაძე ბათუმიდან ტელეფონით გვატყობინებს:

**სპორტსკოლების** მოსწავლეთა პირველი საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული სპორტულ ტანმოვარჯიშეთა ტურნირის უკანასკნელ დღეს სარბიელზე ბიჭები გამოვიდნენ. როგორც ვიუწყებოდით, კარგად იასპარეზეს ნიკა ბარამიძემ და გიორგი კოსტანიანმა. ნიკამ ტაიჭზე ვარჯიშში თამაშების ოქროს მედალი დაიმსახურა, ძელზე ხტომებში კი მოსკოველ დიმიტრი ვასილენკოსთან ერთად „ბრინჯაო" ხვდა წილად. უძლიერესი კი ამ იარაღზე ისევ ჩვენი გუნდის წევრი გიორგი კოსტანიანი იყო.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა ვიქტორ კლიმენკომ ჩვენი ტანმოვარჯიშეების შესახებ თქვა, რომ ეს, ცხადია, არ არისო მათი საუკეთესო შედეგი, მათ გაცილებით მეტი მოეთხოვებათ. სხვებთან შედარებით მან ნიკა ბარამიძე შეაქო: ორიგინალური კომპოზიცია ჰქონდა ტაიჭზე და პირველ ადგილზე გასულმა სპეციალური პრიზიც ამიტომ დაისაკუთრაო.

**ტექნიკური შედეგები (ბიჭები):**

**გუნდური:** 1. პროფკავშირები-II — 552,25 ქულა, 2. რსფსრ-ის განათლების სამინისტრო — 551,9, 3. „დინამო" — 548,2.

**მრავალჭიდი პირველი თანრიგის პროგრამით:** 1. გენადი ლაპო („დინამო") — 111,85, 2. მიროსლავ ლესიუკოვი (განათლების სამინისტრო, დასავლეთის ზონა) — 111,0, 3. იური გოტოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 110,45... 5. ნიკა ბარამიძე — 110,05... 10. გიორგი კოსტანიანი — 109,00... 32. გიორგი სურმანიძე — 105,95... 35. ლევან სეხნიაშვილი — 104,8.

**ოსტატთა პროგრამით:** 1. ალექსეი დემიანოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 112,65, 2. დიმიტრი ტრუში („დინამო") — 111,45, 3. ანდრეი ევსიკოვი (პროფკავშირები-II) — 110,35... 6. ვალერი ოგანეზოვი — 108,95... 13. ზვიად ყალიჩავა — 105,95.



ნიკა ბარამიძე.

**პირადი პირველობა ცალკეულ იარაღებზე:**

**თავისუფალი ვარჯიში. პირველი თანრიგის პროგრამით:** 1. იური გუნკო (განათლების სამინისტრო, სამხრეთის ზონა) — 18,65, 2-3. ალექსეი პაკლინი და ივანე ივანკოვი (ორივე — პროფკავშირები-II) — 18,55-18,55... 7. გიორგი კოსტანიანი — 18,3.

**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით:** 1. ალექსეი დემიანოვი — 18,6, 2. ანდრეი ევსიკოვი — 18,55, 3. დიმიტრი ტრუში — 18,35.

**ტაიჭი. პირველი თანრიგის პროგრამით:** 1. ნიკა ბარამიძე — 19,4, 2. გენადი ლაპო — 18,75, 3. მიროსლავ ევსიუკოვი (განათლების სამინისტრო, დასავლეთის ზონა) — 18,45.

**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით:** 1. სერგეი შიშკოროოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 18,65, 2-3. ანდრეი ევსიკოვი და დიმიტრი ტრუში — 18,6-18,6... 5. ვალერი ოგანეზოვი — 18,5.

**რგოლები. პირველი თანრიგის პროგრამით:** 1. დიმიტრი ნეფედოვიჩი (პროფკავშირები-II) — 18,9, 2. ედუარდ ინოზემცევი (განათლების სამინისტრო, დასავლეთის ზონა) — 18,85, 3. ვლადიმერ კოზლოვი (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 18,6... 8-9. გიორგი კოსტანიანი და გიორგი სურმანიძე — 18,4-18,4.



ჯილდოს გადასცემენ გიორგი კოსტანიანს (შუაში).

ვ. ბუკიას ფოტოები.

იხ. მე-2 გვ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

# ბესიკ გოცირიძე — ოქროს მედალი!



**ბრიანსკში** დამთავრდა 59-ე საკავშირო ჩემპიონატი მძლეოსნობაში, რომელშიც დიდ წარმატებას მიაღწია თბილისელმა ბესიკ გოცირიძემ. 200 მეტრზე რბენის ფინალში მან ყველა მეტოქე უკან ჩამოიტოვა, აჩვენა 20,82 და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა.

სიგრძეზე მხტომელ ვაჟთა შეჯიბრებაში არ გამოდიოდა ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენი რობერტ ემიანი და მაინც ექვსმა მონაწილემ გადალახა 8-მეტრიანი ზღვარი. გამარჯვება კი 28 წლის დნეპროპეტროვსკელ სერგეი ლაევსკის დარჩა — 8 მ. 32 სმ.

ამ ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მძლეოსნად შეიძლება ჩაითვალოს ვოლგოგრადელი ოლგა ბონდარენკო. მან ჯერ 3000 მეტრზე რბენა მოიგო — 8.53,92, მერე კი ყველაზე გრძელ სტაიერულ მანძილზე (10.000 მეტრი) გამოიჩინა თავი და იქაც ოქროს მედალი დაიმსახურა — 31.35,16.

100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის უძლიერესი მარინა მოლოკოვა იყო — 11,27, ვაჟებში კი ვლადიმერ მურავიოვი — 10,26.

**საქართველოს სპორტსმენებისგან მეტს მოველოდით. რატომ ვერ აღწევენ ჩვენი წამყვანი მძლეოსნები უკეთეს შედეგებს? ეს საკითხი ალბათ საგანგებო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.**

# თბილისი ესალმება სტუმრებს

**გუშინ** თბილისში ჩამოვიდა თამაშების მონაწილე რამდენიმე დელეგაცია. სურათზე თქვენ ხედავთ უზბეკეთის ნორჩ სპორტსმენებს, რომლებიც თამაშებში სხვადასხვა საკავშირო ნაკრებ გუნდებში იასპარეზებენ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.



# კონკურისტთა, საკვალიფიკაციო

**მიუხედავად** იმისა, რომ საკვალიფიკაციო შეჯიბრება უშუალოდ მედლების „განაწილებაში" არავითარ როლს არ ასრულებს, მასზე მაინც ბევრი რამ არის დამოკიდებული. კერძოდ, იგი მედლების მაძიებელთა განწყობილებას განაპირობებს, რაც საბოლოო წარმატების საფუძველთა საფუძველია.

ამიტომაც მთელი ძალით იბრძოდნენ ბიტცის (მოსკოვის) საკონკურო მარშრუტზე სსრ კავშირის პირველობის მონაწილე მხედრები.

ახალგაზრდა ცხენებით მოასპარეზეთა სტარტზე 41 ცხენოსანი დადგა და მათგან შეუცდომლად 17 მხედარმა განვლო დაბრკოლებები, მათ შორის გუდაუთელმა ხარლამ სიმონიამ, ანატოლი ტიმჩენკომ, ზიგმანტას შარკამ და სხვებმა.

8 წლისა და უფროსი ცხენებით ასპარეზობაშიც შესანიშნავად გამოვიდნენ სიმონია და შარკა, რომლებთან ერთად მედლებისთვის ბრძოლას განაგრძობენ მიხეილ კრიუკოვი, რეინ პილი და სხვები.

სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ესტონელი მხედარი რეინ პილი, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სახეობაში — უმაღლეს „ბ" კლასში. მონაწილეებს ორჯერ უნდა გაევლოთ დისტანცია, რომელზეც 150 სანტიმეტრის სიმაღლის ბარიერი იყო აღმართული. ორი მარშრუტის ჯამში ესტონელ მხედარს მხოლოდ 5,45 საჯარიმო ქულა აღმოაჩნდა.

SOS

**ფეხბურთში საქართველოს პირველობის მატჩში კვლავ მოხდა აღმაშფოთებელი ფაქტი — ფეხბურთელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. გუნდებში, როგორც ჩანს კვლავ მოისუსტებს აღმზრდელობითი მუშაობა. როდემდე?** (იხ. მე-3 გვ.)

# სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

## ბათუმი მთხოვება ტანმოვარჯიშეებს

დასასრული

**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით:** 1. ალექსეი დემიანოვი — 19,45, 2. ანდრეი ევსიკოვი — 19,1, 3. დიმიტრი ტრუში — 18,85. 4. ვალერი ოგანეზოვი — 18,7.

**ბჯენითი ხტომები პირველი თანრიგის პროგრამით:** 1. გიორგი კოსტანიანი — 18,75, 2. მიროსლავ ლესიუკოვი—18,55, 3-4. ნიკა ბარამიძე და დიმიტრი ვასილენკო (რსფსრ-ის განათლების სამინისტრო) — 18,4-18,4... 6. ლევან სეხნიაშვილი — 18,0.

**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით:** 1. ლეონ კარხანია (განათლების სამინისტრო, სამხრეთის ზონა) — 18,9, 2. ანდრეი კირჩენკოვი — 18,6, 3. ანდრეი ევსიკოვი (ორივე— პროფკავშირები-II) — 18,35... 7. ვალერი ოგანეზოვი — 18,2.

**ორძელი. პირველი თანრიგის პროგრამით:** 1. დიმიტრი ნეფედოვიჩი — 18,85, 2. გენადი ლაპო — 18,8, 3. მიხეილ კორსენკო („შრომითი რეზერვები") — 18,65.

**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით:** 1. ალექსეი დემიანოვი — 19,3, 2. დიმიტრი ტრუში — 18,9, 3. რინატ გალიმოვი (განათლების სამინისტრო, სამხრეთის ზონა) — 18,65, 4. ზვიად ყალიჩავა—18,45... 6. ვალერი ოგანეზოვი.

**ძელძი. პირველი თანრიგის პროგრამით:** 1. გენადი ლაპო — 19,2, 2-3. დიმიტრი ნეფედოვიჩი და პეტრე მაკრეცკი (განათლების სამინისტრო, დასავლეთის ზონა) — 18,8-18,8.

**ოსტატის პროგრამით:** 1. ალექსეი დემიანოვი — 18,85, 2. ვიქტორ სიდოროვი (განათლების სამინისტრო, დასავლეთის ზონა) — 18,65, 3. დიმიტრი ტრუში — 18,6.

**საერთო გუნდური** (გოგონებისა და ვაჟების შედეგების ჯამი): 1. პროფკავშირები-II — 988 ქულა, 2. რსფსრ-ის განათლების სამინისტრო — 872, 3. „დინამო" — 843, ....9. საქართველო — 406 (109+297) ქულა.

**რედაქცია სვამს კითხვებს:**

**1. რას უნდა მივაწეროთ გუნდურ პირველობაში ჩვენი ტანმოვარჯიშეების წარუმატებლობა?**

**2. ხომ არ დადგა დრო მკაცრად მოვკითხოთ სპორტსკოლებს, სპორტულ საზოგადოებებს, უწყებებს, მწვრთნელებს... რატომ არ არის უფრო თვალსაჩინო ზრუნვა-ყურადღებისა და მატერიალური დანახარჯების უკუგება?**

**3. სრულად ვიყენებთ თუ არა რეზერვებს მუშაობის გარდაქმნისა და სპორტსმენთა მომზადების მწყობრი სისტემის შესაქმნელად?**

### მთავარ მსაჯთა კოლეგია მუშაობას შეუდგა





სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მთავარ მსაჯთა კოლეგიამ თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიდო ბინა. გუშინ დილიდანვე მთელი დატვირთვით მუშაობდა მსაჯთა კოლეგია — სამანდატო კომისია გაიარ ეს სპორტულმა დელეგაციებმა, დამყარდა კავშირი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, შეჯიბრების ორგანიზატორებთან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

---

სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების წინ

## ყველაფერი მზად არის, ჯერი სპორტსმენებზეა

**თბილისის სპორტკომიტეტის ფრენბურთის ღია მოედნებზე 22 ივლისს დაიწყება სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების შეჯიბრება ფრენბურთში. ამ დღეებში დამთავრდა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, უკრაინის განათლების სამინისტროს, საკავშირო განათლების სამინისტროს სამხრეთის ზონისა და ლატვიის ნაკრებმა გუნდებმა. ჩვენმა ჭაბუკებმა ყველა მეტოქე დაამარცხეს და პირველ ადგილზე გავიდნენ.**

— ეს შეჯიბრება ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იყო საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ — გვითხრა საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ფრენბურთში, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ედუარდ სანთელაძემ. — დავრწმუნდით, რომ ჩვენი ბიჭები კარგ სპორტულ ფორმაში არიან და მაღალი შედეგებისთვის ბრძოლა შეუძლიათ.

მოედნებზე დროულად ჩატარდა რეკონსტრუქცია. წვიმიან ამინდში შეხვედრები ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზში ჩატარდება.

● **მსგავსი შეჯიბრება გოგონებისთვის სოხუმში გაიმართება. იქ როგორაა საქმე?**

— აფხაზეთის დედაქალაქში შეჯიბრებისთვის მზადებას პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. მოედნები აქაც მზად არის.

● **22 ივლისს შეჯიბრებაში ჩაებმებიან ფრენბურთელი გოგონებიც. მოასპარეზეთა შორის იქნება ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებიც. როგორია მისი ამოცანები?**

— გოგონათა ნაკრებმა გუნდმა (უფროსი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვასილი ტკაჩენკო, მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი იური გურგენიძე, ექიმი — კარინა პეტროსოვა) შეჯიბრებისთვის 1985 წლიდან დაიწყო მზადება გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებას, სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობას. გუნდი ამ წლის დასაწყისიდან ინტენსიურად ვარჯიშობდა თბილისისა და ლესელიძის სპორტულ ბაზებზე, რადგან საკუთარი ბაზა არა აქვს, მაისში კი ღია მოედნებზე სავარჯიშოდ გავიდა. და რამდენიმე საპასუხისმგებლო შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა, კერძოდ, იანვარში საკავშირო პირველობაზე გამოვიდა, ამას წინათ კი სოხუმსა და ბაქოში გამართულ საკავშირო ტურნირებში მეორე ადგილი დაიკავა. ივლისის დასაწყისში შეირჩა ის თორმეტი ფრენბურთელი, ვინც საკავშირო თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. ისინი სოხუმში გაემგზავრნენ და შეჯიბრების დაწყებამდე იქაურ ღია მოედნებზე ივარჯიშებენ. გუნდის მიერ მოსამზადებელ პერიოდში ნაჩვენები შედეგები იმაში გვარწმუნებს, რომ ჩვენი ფრენბურთელი გოგონები ურიგოდ არ არიან მომზადებული, მაგრამ საქმე ის არის, რომ ქვეჯგუფში მათთან ერთად იასპარეზებენ რსფსრ-ის განათლების სამინისტროს, საკავშირო განათლების სამინისტროს სამხრეთ ზონის, „დინამოს" ცენტრალური საბჭოსა და პროფკავშირების I ნაკრები გუნდები, (მეორე ქვეჯგუფში გამოვლენ უკრაინის განათლების სამინისტროს, საკავშირო განათლების სამინისტროს დასავლეთის ზონის, შეიარაღებული ძალების, „უროჟაისა" და პროფკავშირების II ნაკრები კოლექტივები). ამ კოლექტივებთან ბრძოლა კი ჩვენებს ალბათ გაუჭირდებათ. უფრო იმიტომ, რომ ტანმაღალი ფრენბურთელები არა გვყავს, რაც „მეორე სართულზე" ბრძოლის წაგებას ნიშნავს.



ერთი სიტყვით, ჩვენი გუნდისთვის ეს შეჯიბრება ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი იქნება მეორე საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის.

**საუბარი ჩაიწერა ვაჟა დანელიამ.**

---

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

**სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა აკრედიტაცია ჩატარდება დღეს, 21 ივლისს, 16 საათიდან, თბილისის „დინამოს" სტადიონზე თამაშების მთავარ პრესცენტრში.**

სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.

---

## გამოვლინდნენ ფინალისტები

**დამთავრდა** თბილისის ჭადრაკის სასახლის პირველობის ნახევარფინალური ტურნირი, რომელიც შვეიცარიული სისტემით, თერთმეტტურად ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო 140-მდე მოჭადრაკემ, აქედან ნახევარზე მეტს ოსტატობის კანდიდატები შეადგენდნენ. ნახევარფინალი უშეღავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა. ასე მაგალითად, მესამე ტურში გამოცდილი ოსტატობის კანდიდატების თემურ გათიკოევისა და ვიტალი ბონდარენკოს პარტია ორჯერ გადაიდო ლაზიერების რთულ დაბოლოებაში და 122-ე სვლაზე გათიკოევის გამარჯვებით დასრულდა.

ახალგაზრდა მოჭადრაკეებიდან განსაკუთრებით კარგად ითამაშა ოსტატობის კანდიდატმა ედიკ მანოიანმა (მწვრთნელი ოთარ თურქესტანიშვილი), რომელმაც ლამაზი, კომბინაციური თამაშით ბევრი გამოცდილი მოჭადრაკე დატოვა ფინალის მიღმა.

საბოლოოდ პირველი ადგილი 9,5 ქულით იური ნეჩაევმა დაიკავა. შემდეგ მოდიან ირაკლი ჩაჩუა, ვაჟა გრიგალაშვილი, არტურ თეიმურაზიანი, თორნიკე კერძაია — 8,5-8,5 ქულა. ეს ხუთივე მოჭადრაკე დაშვებულია ჭადრაკის სასახლის პირველობის ფინალში.

**ვასილ ვაშაკიძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

---

## „იონაობა"—ცაიშში

**ზუგდიდის** რაიონის სოფელი ცაიში იმ დღეს ხალხს ვერ იტევდა. მადლიერმა შთამომავლობამ თავისი საამაყო შვილის, გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იონა მეუნარგიას საპატივცემულოდ სახალხო დღესასწაული — „იონაობა" მერვედ გამართა.

სახალხო ზეიმში მონაწილეობდნენ ზუგდიდის რაიონის ფიზკულტურელები და სპორტის მოყვარულებიც. რუსულ შაშში ერთდროული თამაშის სეანსს სპორტის ოსტატმა ნუგზარ დარასელიამ უხელმძღვანელა, ჭადრაკში — სპორტის ოსტატმა ჟორა მშარელუამ.

ბაგირის გადაძალვასა და სიმძიმეების აწევაში 125 კაცი შეეჯიბრა ერთმანეთს. საინტერესოდ ჩატარდა ტურისტული ლაშქრობაც, რომელშიც 250 მშრომელი მონაწილეობდა.

**თამაზ ქიქავა.**

---

## წოდებათა მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**ძიუდოში** — ჯემალ მასურაშვილს, ვაჟა ბოლოთაშვილს, ალექსანდრე დონლუზაშვილს, დავით თენაძეს (ყველა — „ბურევესტნიკი", გორი), დავით ნაკანს („დინამო", მესტია), დავით ხახალეიშვილს („დინამო", ქუთაისი), გერასიმე ხაბულიანს, გიორგი ადიბეგოვს (ორივე — „შრომითი რეზერვები", თბილისი), ვლადიმერ დგებუაძეს, მაკარ თვალაძეს (ორივე — „დინამო", სოხუმი), რობერტ ლომთაძეს („დინამო", თბილისი), მიხეილ ჯალაბაძეს (პროფკავშირები, გორი).

**სპორტულ ტანვარჯიშში** — ნინო ქართველიშვილს, ირინა კაბისოვას (ორივე—„დინამო", თბილისი).

**ცურვაში** — გიორგი აბზიანიძეს („განთიადი", თბილისი).

**ჭადრაკში** — ქეთევან კახიანს („დინამო", სოფ. დიდი ლილო).

**ბატუტზე ხტომაში** — ინა წიკლაურს („შრომითი რეზერვები", თბილისი).

---

## ყურადღება!

**25-26 ივლისს ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ლონისძიებები სახალხო ნიჩბოსნობაში. როგორ ვემზადებით ადგილებზე, როგორ ვიყენებთ ადგილობრივ შესაძლებლობებსა და რეზერვებს?**

**ლონისძიებები უნდა ჩატარდეს ყველგან — შავი ზღვის სანაპიროზე, ტბებზე და წყალსაცავებზე, სანიჩბოსნო ბაზებზე...**

**ცნობები მოგვაწოდეთ ტელეფონით. დაგვირეკეთ — 93-97-55.**



# სსრ კავშირის თასზე

18 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 1987-88 წლების საფეხბურთო თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები.

**„შინიკი“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (თბილისი) 0:2, (0:1).**

პირველი მატჩი თბილისის დინამოელებმა შინ მოიგეს ანგარიშით 4:1.

საპასუხო შეხვედრაში თბილისელთაგან პირველი ბურთი გაიტანა შენგელიამ, ხოლო მეორე, 74-ე წუთზე — ცვეიბამ.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: **გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, ცვეიბა, კორღალიძე, ხვანაძე (აფციაური, 82), სულაქველიძე, ჟვანია (ქეცბაია, 62), გოგრიჭიანი (ფირცხალავა, 75), შენგელია.**

**მსაჯი ს. ჰუსაინოვი (მოსკოვი).**

**თბილისის „დინამო“ მერვედფინალში გავიდა.**

**„როტორი“ (ვოლგოგრადი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:1 (0:1)**

პირველი მატჩი მოიგო „გურიამ“ — 4:2.

მეორე შეხვედრის უკვე მე-7 წუთზე დაწინაურდნენ სტუმრები, ბურთი გაიტანა ფრიდონაშვილმა. მაგრამ მასპინძლებმა ძლიერად ჩაატარეს თამაშის დასასრული, 73-ე წუთზე მათ საპასუხო ბურთი გაიტანეს, 84-ე წუთზე „როტორი“ წინ გაიყვანა ნიკიტინმა, ხოლო ჩუპინმა 87-ე წუთზე გადამწყვეტი ბურთი გაიტანა. ორი მატჩის ჯამში საერთო ანგარიშია 5:5, მაგრამ ლანჩხუთში გატანილმა ორმა გოლმა ვოლგოგრადელებს წარმატება მოუტანა, მერვედფინალშიც ისინი გავიდნენ.

„გურიის“ შემადგენლობა: **ქანთარია, დანელია (კონდრატიევი, 55), რომანჩუკი, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, მეგრელაძე, ფრიდონაშვილი, მ. თევზაძე (ჯიშკარიანი, 46).**

**მსაჯი პ. კობიჩიკი (ჩერნოვცი).**

**„დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (მინსკი) 1:0 (1:0)**

პირველი შეხვედრა მოიგეს მინსკელებმა — 2:1.

ამ უძნელეს მატჩში სოხუმელებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა და მობილიზება გამოავლინეს უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის წინააღმდეგ. მათ კარგად ისარგებლეს მეტოქის დაცვაში დაშვებული შეცდომებით, ერთ-ერთი იერიშის დროს ტაიმის დასასრულს დოჩიამ ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში — 1:0. სტუმრები შესვენების შემდეგ ბევრს ეცადნენ ანგარიში შეეცვალათ, მაგრამ სოხუმელები მონდომებით იბრძოდნენ, უკვე მატჩის ბოლო წუთებზე მათ შეეძლოთ კიდევ უფრო მეტი ანგარიშითაც გაემარჯვათ.

სოხუმისა და მინსკის დინამოელთა ორ მატჩში თანაბრობაა — 2:2, მაგრამ მინსკის სტადიონზე გატანილი გოლის მეოხებით (კვარაცხელია) გამარჯვება სოხუმელებს დარჩათ. ჩვენმა გუნდმა მერვედფინალის საგზური გაინაღდა.

სოხუმის „დინამომ“ ამ დღეს ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ბენიძე, გოგოხია, ჩიხრაძე, ხურცილავა, დოჩია, ინალიშვილი, გუბაზი, ახვლედიანი, კვარაცხელია, ჩალიგავა (ქანთარია), ხაგბა.**

**მსაჯი ნ. ბარიშნიკოვი (მოსკოვი).**

* * *

თასის მეთექვსმეტედფინალის სხვა საპასუხო შეხვედრათა შედეგები:

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 1:2 (კიეველებმა ასეთივე ანგარიშით მოიგეს პირველი მატჩიც).

„კრასნაია პრესნია“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 1:1 (პირველი მატჩი 1:3).

„დაუგავა“ (რიგა) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:2 (0:1).

„ნივა“ (ტერნოპოლი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 0:4 (0:2).

„ატლანტასი“ (კლაიპედა) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:1 (1:1).

„დრუჟბა“ (მაიკოპი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:0 (1:3).

„ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „არარატი“ (ერევანი) 2:4 (2:6).

„ურალანი“ (ელისტა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:3 (0:10).

„კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0 (პირველ მატჩში დინამოელებმა გაიმარჯვეს ასეთივე ანგარიშით 1:0. დამატებითი პენალტების სერია მოიგო „კუზბასმა“ — 3:1. მატჩის საერთო ანგარიშია 4:2 კემეროვოელთა სასარგებლოდ).

„ფახთაქორი“ (ანდიჟანი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:3 (0:4).

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ქაირათი“ (ალმა-ათა) 2:0 (0:1).

„ტორპედო“ (ლუცკი) — ცსკა 0:0 (0:1).

ამრიგად, სსრ კავშირის თასის მერვედფინალში, რომლის პირველი შეხვედრები 4-5 აგვისტოს გაიმართება, ხოლო საპასუხო მატჩები 15-16 აგვისტოს, გავიდნენ:

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი)

„ტორპედო“ (მოსკოვი) — ცსკა

**„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი)**

„არარატი“ (ერევანი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)

„დინამო“ (კიევი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)

**„მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (სოხუმი)**

„კუზბასი“ (კემეროვო) — „ნეფთჩი“ (ბაქო)

„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — ვილნიუსის „ჟალგირისსა“ და ფერგანის „ნეფტიანიკს“ შორის გამარჯვებული (ამ გუნდებს ერთმანეთთან ორი მატჩი აქვთ ჩასატარებელი 2 და 6 აგვისტოს).

მეთექვსმეტედფინალის ეტაპზე თასის გათამაშებას გამოაკლდნენ უმაღლესი ლიგის გუნდები „ქაირათი“, „გურია“, მინსკის „დინამო“ და მოსკოვის „დინამო“. მერვედფინალში II ლიგიდან გავიდა სოხუმის „დინამო“, ჯერ კიდევ სათამაშო აქვს ფერგანის „ნეფტიანიკს“.



**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**გთავაზობთ სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XVII ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.**

**„სპარტაკი“ — „დნეპრი“ 2:2 (0:1).** გოლები: პროტასოვი, შოხი („დნეპრი“), ხიდიატულინი, ჩერენკოვი („სპარტაკი“).

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ამ სკანდალურ მატჩში მსაჯების შეცდომებმა გავლენა მოახდინა მატჩის შედეგზე, გააფრთხილეს სპარტაკელი ხიდიატულინი (წლევანდელ სეზონში ეს უკვე მეოთხედ), ყვითელი ბარათები დაიმსახურეს დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა ჩერედნიკმა, ბაგმუტმა, ბაშკიროვმა, ხოლო დნეპროპეტროვსკელი ტიშჩენკო მინდვრიდან გააძევეს.

დუბლიორები — 2:3.

ამ მატჩში ომსკელმა არბიტრმა ვ. კუზნეცოვმა სრულიად უსაფუძვლო 11-მეტრიანი დანიშნა, სპარტაკელმა ფ. ჩერენკოვმა ზუსტად გაიტანა ეს პენალტი და გ. ფედოტოვის სახელობის 100-გოლიანთა კლუბის 44-ე წევრი გახდა.

**„დინამო“ (კიევი) — „შახტიორი“ 0:0.**

გააფრთხილეს დონეცკელი ფეხბურთელი გოშკოდერია.

დუბლიორები — 1:0.

**„მეტალისტი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1 (0:0).** გოლები: ბოროდიუკი („დინამო“, 11-მეტრიანი), იაკუბოვსკი („მეტალისტი“, 11-მეტრიანი).

გააფრთხილეს ხარკოველი ფეხბურთელი დერკაჩი.

დუბლიორები — 0:1.

**„არარატი“ — „ზენიტი“ 2:1 (0:0).** გოლები: სარქისიანი, პოლოსიანი („არარატი“), კანიშჩევი („ზენიტი“).

გააფრთხილეს ლენინგრადელი დავიდოვი.

**„ნეფთჩი“ — „ქაირათი“ 6:0 (3:0).** გოლები: ჯავადოვი, გარიბოვი, ჰუსეინოვი, ნ. სულეიმანოვი, აჰმედოვი, ალაჰვერდიევი.

გააფრთხილეს ალმაათელი ფეხბურთელი რაფიკოვი.

დუბლიორები — 1:0.

**ცსკა — „ტორპედო“ 1:1 (1:0).** გოლები: მასალიტინი (ცსკა), შირინბეკოვი („ტორპედო“).

გააფრთხილეს ტორპედოელი ბოდაკი.

დუბლიორები — 4:0.

● **მიმდინარე** საკავშირო ჩემპიონატის ამ ტურის მატჩებში სტუმრებმა ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგეს.

● **ბომბარდირთა** შორის კვლავინდებურად ლიდერობს ვილნიუსელი ა. ნარბეკოვასი, რომელმაც 10 ბურთი გაიტანა, 9-9 გოლია დნეპროპეტროვსკელი ო. პროტასოვისა და სპარტაკელი ფ. ჩერენკოვის ანგარიშზე.

## გათამაშების ცხრილი

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 21 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 18 | 13 | 1 | 4 | 49-21 | 27 |
| „დნეპრი“ | 17 | 11 | 3 | 3 | 32-15 | 25 |
| „ჟალგირ.“ | 16 | 6 | 9 | 1 | 23-10 | 21 |
| „ნეფთჩი“ | 17 | 7 | 5 | 5 | 17-22 | 19 |
| „დინამო“ კ. | 14 | 8 | 2 | 4 | 28-21 | 18 |
| ცსკა | 18 | 8 | 2 | 8 | 29-31 | 18 |
| „ქაირათი“ | 17 | 7 | 4 | 6 | 27-26 | 18 |
| „შახტიორი“ | 16 | 6 | 6 | 4 | 15-12 | 18 |
| „დინ.“ მნ. | 17 | 6 | 5 | 6 | 29-22 | 17 |
| „ტორპედო“ | 18 | 4 | 7 | 7 | 12-19 | 15 |
| „დინამო“ მ. | 15 | 6 | 2 | 7 | 16-16 | 14 |
| „ზენიტი“ | 18 | 4 | 6 | 8 | 23-37 | 14 |
| „გურია“ | 16 | 5 | 2 | 9 | 16-32 | 12 |
| „მეტალისტი“ | 17 | 4 | 4 | 9 | 15-24 | 12 |
| „დინამო“ თბ. | 16 | 3 | 5 | 8 | 22-31 | 11 |
| „არარატი“ | 16 | 2 | 3 | 11 | 20-35 | 7 |

**საქართველოს პირველობა**

18-19 ივლისს შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXIII ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის:

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:0, „კოლხეთი“ (ხობი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 5:1, „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „დინამო“ (გაგრა) 3:1, „ივერია“ (ხაშური) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „კახეთი“ (თელავი) 6:2, „მადნეული“ (ბოლნისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:0, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:2, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:3, „სულორი“ (ვანი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:1, „შადრევანი“ (წყალტუბო)—„მერცხალი“ (მახარაძე) 1:1.



## ისევ ხულიგნობა?

**19 ივლისს გორის რაიონის „ქართლის“ სპორტული კომპლექსის მინდორზე შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXIII ტურის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „ქართლსა“ და ზუგდიდის „დინამოს“ შორის.**

**სამწუხაროდ, ამ მატჩში მოხდა ინციდენტი, რომელიც კვლავ და კვლავ შავ ლაქად ემჩნევა ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებას. უშუალოდ მატჩის მსვლელობაში ორივე გუნდის ფეხბურთელები საკმაოდ ხშირად არღვევდნენ დისციპლინას, თუმცა მათი საქციელი არ გასცილებია მსაჯის კომპეტენციას. ხშირად ინიშნებოდა საჯარიმოები, მატჩის არბიტრმა თბილისელმა გ. ხეჩუაშვილმა ორი პენალტი დანიშნა ზუგდიდელთა მხარეს, როცა ისინი მატჩს იგებდნენ ანგარიშით 1:0. მასპინძლებმა ორივე 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.**

**როგორც კი მატჩი დამთავრდა, ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელი ე. ჰედია მიეჭრა მსაჯს, შეაგინა, შემდეგ კი ძლიერად ჩაარტყა წიხლი, საჭირო გახდა საქმეში ექიმების ჩარევა.**

**აღმაშფოთებელი ფაქტია! სხვადასხვა საშუალებით შეიძლება გამოხატო უკმაყოფილება მსაჯის გადაწყვეტილებათა მიმართ, მით უმეტეს, როცა 11-მეტრიანებზეა ლაპარაკი, მაგრამ ის, რაც ე. ჰედიამ გააკეთა, შორს სცილდება ყოველგვარ ეთიკურ ნორმას. ე. ჰედია ახალბედა ფეხბურთელი არაა და მით უფრო სავალალოა, რომ მან ასეთი „მეთოდით“ სცადა ანგარიში გაესწორებინა მსაჯთან.**

**აღსანიშნავია ისიც, რომ ზუგდიდის „დინამოს“ თან ახლდნენ გულშემატკივრები, ზოგიერთი მათგანი აღმაშფოთებლად იქცეოდა მატჩის მსვლელობის დროსაც და შემდეგაც, როცა ფეხბურთელმა „ლინჩის სასამართლო“ მოუწყო არბიტრს მწვანე მინდორზე, მაყურებელთა თვალწინ.**

**რა თქმა უნდა, ე. ჰედიას საქციელს განიხილავენ შესაბამისი საფეხბურთო ორგანოები, მაგრამ ზუგდიდის „დინამოში“ რომ წესრიგი არაა, ეს უტყუარი ფაქტია, ამის შესახებ ზუგდიდშიც მკაცრად უნდა იმსჯელონ.**

**I ლიგა**

შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და ტაშკენტის „ფახთაქორს“ შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 1:1.

# წინ მთავარი მატჩებია

**კანადაში** მიმდინარე 16 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა.

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებს უაღრესად ძნელი თამაში ჰქონდა საფრანგეთის თანატოლთა გუნდთან, ანგარიშით 3:2 (1:0) გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ანგარიში 39-ე წუთზე გახსნა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა სოხუმელმა არუთინიანმა. შესვენების შემდეგ, დასაწყისშივე, ადრიანმა საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ 59-ე წუთზე კვლავ გამოიჩინა თავი არუთინიანმა და მეორედ აიღო ფრანგების კარი — 2:1. 64-ე წუთზე თანაფარდობა ისევ აღდგა (როშე), ათიოდე წუთის შემდეგ კი საბჭოთა ნაკრების გამარჯვება განამტკიცა ოდესელმა ფეხბურთელმა ნიკიფოროვმა — 3:2.

საბჭოთა ფეხბურთელები ნახევარფინალში შეხვდებიან კოტ დივუარის გუნდს (ყოფილი სპილოს ძვლის ნაპირის სახელმწიფო), რომელმაც დიდი ანგარიშით დაამარცხა კატარის ნაკრები — 3:0.

მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ იტალიისა და ნიგერიის გუნდები. იტალიელებმა გაიმარჯვეს სამხრეთ კორეის გუნდთან შეხვედრაში — 2:0, ხოლო ნიგერიელებმა დაამარცხეს ავსტრალიის ნაკრები — 1:0.

მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 22 ივლისს.

**ფეხბურთი**

# უნივერსიადის შედეგები

**ზაგრები.** დამთავრდა სტუდენტთა XIV ზაფხულის მსოფლიო თამაშები, რომელიც პროგრამითაც და მონაწილეთა რაოდენობით წინა უნივერსიადებთან შედარებით სარეკორდო აღმოჩნდა. სპორტის 12 სახეობაში მედლებს ერთმანეთს 122 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ.

თუ როგორ განაწილდა მედლები ლიდერთა შორის, ნათლად ჩანს ქვემოთმოყვანილ ცხრილიდან:

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | 25 | 33 | 21 | 79 |
| 2. აშშ | 26 | 19 | 24 | 69 |
| 3. რუმინეთი | 21 | 12 | 10 | 43 |

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩემპიონის ოქროს მედლები 24 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს, პრიზიორთა შორის კი 35 ქვეყნის სპორტსმენებს შეხვდებით, ეს, რა თქმა უნდა, წამყვან სპორტსმენთა „გეოგრაფიის“ შესამჩნევ ზრდაზე მიგვანიშნებს.

საბჭოთა დელეგაციამ წინა უნივერსიადებთან შედარებით ზაგრებში ცოტა მედლები მიიღო. 1983 წელს ედმონტონში ჩვენი სპორტსმენების წილად ოქროს 59, ვერცხლის 29 და ბრინჯაოს 27 მედალი მოდიოდა. ორი წლის შემდეგ კობეში (იაპონია) მედლების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა (44 — ოქრო, 21 ვერცხლი, 19 ბრინჯაო). წლეულს ჩვენმა სპორტსმენებმა, როგორც ხედავთ, კიდევ ერთი ნაბიჯით უკან დაიხიეს.

როგორც ყოველთვის, საუნივერსიადო სტარტებში თავი გამოიჩინეს ტანმოვარჯიშეებმა და ჩოგბურთელებმა. აი, მძლეოსნებმა, მოცურავეებმა, წყალში მხტომელებმა და მოფარიკავეებმა სახეირო ვერაფერი გვიჩვენეს. შესამჩნევად დათმეს პოზიციები კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა და წყალბურთელებმაც. მეტს მოველოდით ნიჩბოსნებისაგან.

რაც შეეხება უნივერსიადაში მონაწილე საქართველოს წარმომადგენლებს, მათ წინა თამაშებთან შედარებით გარკვეულწილად გააუმჯობესეს შედეგები. ორი წლის წინათ კობეში ჩვენი რესპუბლიკა ხუთი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი. ძიუდოისტთა ტურნირში გია თენაძემ და კობა კურტანიძემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. დევი გვახარია კი საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა გუნდთან ერთად უნივერსიადის ჩემპიონი გახდა.

საქართველოს სპორტსმენთა წლევანდელი შედეგები, რა თქმა უნდა, საგრძნობლად უკეთესია. ტანმოვარჯიშე ეკა ზეთურიძემ ოქროს მედალი დაიმსახურა გუნდურ შეჯიბრებაში და ბრინჯაო — ძელზე ვარჯიშში. ლეილა მესხმა სამი ჯილდო მოიპოვა: ორი — ოქროსი (ერთეულთა და წყვილთა თანრიგში მოსკოველ ვიქტორია მილვიდსკაიასთან ერთად) და ერთიც ვერცხლისა (შერეულ წყვილთა თანრიგში მოსკოველ ანდრეი ოლხოვსკისთან დუეტში). ჩვენებს კიდევ ორი ვერცხლის მედალი ჰქონდათ (აკაკი მახარაძე და ირაკლი გვარამაძე) ხმლით გუნდურ ფარიკაობაში.

და მაინც, რესპუბლიკის სპორტსმენთა გამოსვლები მთლად წარმატებულად არ უნდა ჩავთვალოთ. უფრო სწორად, ქართული სტუდენტური სპორტი თავის ნამდვილ შესაძლებლობებს ჯერჯერობით ბოლომდე ვერ ამჟღავნებს. არა და გარდაქმნის მადლით მოცხებულ ეპოქაში რეზერვების სრული გამოვლენა და ამოქმედება პირველი მნიშვნელობის ამოცანაა. გვწამს და გვჯერა სტუდენტი სპორტსმენების, და ამიტომაც მათგან მეტს მოვითხოვთ. ლეილა მესხის მაგალითი ყველასთვის დასამახსოვრებელი უნდა იყოს. იგი იმავე დროს ზუსტად მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ უნდა ემზადებოდეს და გამოდიოდეს დღეს სპორტსმენი პრესტიჟულ ტურნირებში.

# გამოცდილება შეიძინეს

**მეოთხე** მატჩში ამერიკელთა მეტოქე ისევ საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები იყო. ეს გუნდები ერთმანეთისთვის კარგი სპარინგ-პარტნიორები გამოდგნენ.

თამაშის პირველი წუთებიდანვე უპირატესობა ქართველმა კალათბურთელებმა იგდეს ხელთ. ტაიმის მიწურულამდე მათი უპირატესობა არავითარ ეჭვს არ იწვევდა. გარდატეხა პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა, რაც, ჩვენი აზრით დაკავშირებული იყო ორ გარემოებასთან. როდესაც ამერიკელებმა პრესინგს მიმართეს, ჩვენი მცველები დაიბნენ და შეცდომები დაუშვეს. ტრავმის გამო ტაიმის ბოლოს მოედანი დროებით დატოვა გუნდის ლიდერმა კახა შენგელიამ. სტუმრებმა კარგად ისარგებლეს ამით და პირველი ნახევარი მოიგეს — 38:36.

შესვენების შემდეგ ტრავმირებული შენგელია მთელი ძალით ვეღარ თამაშობდა. ამიტომ თბილისელებმა თავიანთი კოზირი — პოზიციური თავდასხმა ვერ გამოიყენეს. მასპინძლები არაზუსტად ტყორცნიდნენ ჯარიმებს და წააგეს ბრძოლა ფარქვეშ, მაგრამ ქართველ კალათბურთელებს მაინც ჰქონდათ მატჩის გადარჩენის გარკვეული შანსი, არბიტრის შეცდომა რომ არა. 72:69 — გაიმარჯვეს ამერიკელებმა. ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები ამ დღეს რექსდეილი (აშშ, 27 ქულა) და შენგელია (23) იყვნენ.

ამერიკელებთან შეხვედრები რა თქმა უნდა, სასარგებლო იყო, მითუმეტეს, რომ ჩვენს ახალგაზრდა კალათბურთელებს აშკარად აკლიათ საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება.

**მერაბ კალანდაძე.**



**სურათებზე:** ბოლო შეხვედრის მომენტი; ქართველმა და ამერიკელმა კალათბურთელებმა სამახსოვრო სურათი გადაიღეს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



# ნონას პირველი გამარჯვება

**იუგოსლავიის** ქალაქ, სმედერევსკა-პალანკაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირის მესამე ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელმაც კორეელ იან ფენსს სძლია.

გაიმარჯვა აგრეთვე ზოია ლელჩუკმაც, მან ბულგარელი ოსტატი მარგარეტ ვოისკა დაამარცხა.

ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ჩეხოსლოვაკიელმა ოსტატმა ელიშკა კლიმოვამ, რომელმაც 25-ე [illegible] დააყრევინა ფარ-ხმალი.

ირინა ლევიტინა და მარტა ლიტინსკაია ყაიმზე შეთანხმდნენ.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობენ: ელიშკა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია) — 3 ქულა, ზოია ლელჩუკი, მარტა ლიტინსკაია (ორივე — სსრკ), ილდიკო მადლი (უნგრეთი), ალისა მარიჩი (იუგოსლავია) — 2,5-2,5, ნონა გაფრინდაშვილი, ირინა ლევიტინა (ორივე — სსრკ) — 1,5-1,5.

**მოსკოვი.** ფრენბურთისთვის უჩვეულო ანგარიშით — 5:0 დამთავრდა სსრ კავშირისა და აშშ-ს ქალთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. ჯერ ერთმანეთს ძირითადი შემადგენლობანი ეჯიბრებოდნენ. გამარჯვება საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს — 15:6, 15:5, 15:2. მერე ისინი დუბლიორებმა შეცვალეს. უპირატესობა აქაც მასპინძლების მხარეს იყო— 15:1, 15:2. ეს შეხვედრა მომავალი საერთაშორისო ტურნირის თავისებურ პრელიუდიას წარმოადგენდა, რომელშიც აღნიშნული გუნდების გარდა იაპონიის, კუბის, ჩინეთისა და ბულგარეთის კოლექტივებიც იასპარეზებენ. ტურნირი დღეს დაიწყება და 26 ივლისამდე გასტანს.

**ტალინი.** აქ დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი მძლეოსნურ მრავალჭიდში. ქალთა შორის ოქროს მედალი (შვიდჭიდში) მოსკოველმა ლარისა ნიკიტინამ მოიპოვა — 6414 ქულა. ვაჟებში (ათჭიდი) უძლიერესი ტალინელი ვალტერ კოლვეტი იყო — 8332 ქულა.

**ტალინი.** საგზატკეცილო წრიული მოტორბოლა „კალევის დიდ პრიზზე" ესტონელმა იური რაუდსიკმა მოიგო. მან ჯერ 350 კბ. სმ. კლასის მოტოციკლებით შეჯიბრებაში გამოიჩინა თავი, მერე კი სარბოლო მანქანების ასპარეზობაში (250 კბ. სმ. კლასი) იმარჯვა. ჭაბუკთა შორის უძლიერესი (125-იანებში) რიგელი ვალერი სოლოვიოვი იყო.

**ბერგამო.** გრძელდება იუნიორ ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემ-

### ტელეტაიპი-მკითხველი

პიონატი. ჯგუფურ საგზატკეცილო რბოლაში ოქროს მედალი როსტოველმა პავლე ტონკოვმა მოიპოვა. მეორე ადგილზე გასულ ავსტრიელ ნიკო ლონჩარჩს მან ერთი წუთზე მეტი მოუგო. ამავე სახეობაში ქალთა შორის გამარჯვება ფრანგ კატრინ მარსალს ხვდა წილად. რიგელი ანიტა ზაგორსკა მეორე ადგილზე გავიდა.

**შტუტგარტი.** დამთავრდა წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და გფრ-ის სპორტსმენები. გამარჯვება ჩვენ წყალბურთელებს დარჩათ — 10:9. მომდევნო ადგილები დაიკავეს უნგრეთის, ავსტრალიის, ესპანეთის, საბერძნეთის, საფრანგეთისა და ნიდერლანდების კოლექტივებმა.

**სენ-ნიზიე** (საფრანგეთი). ქალთა „ტურ დე ფრანსის" მეცხრე ეტაპი იტალიელმა მარი კანისმა მოიგო. ლვოველი თამარა პოლიაკოვა ეტაპზე მესამე იყო, რბოლას ჯერჯერობით იტალიელი ველოსიპედისტი ლიდერობს. მას ორი წამით ჩამორჩება ფრანგი ჟანი ლონგო. პოლიაკოვა მესამე ადგილზეა.

**ობერვიზენტალი** (გდრ). აქაურმა „მფრინავმა მოთხილამურეებმა" სეზონის პირველი შეჯიბრება ჩაატარეს. ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვება ქვეყნის ჩემპიონმა მანფრედ დეკერტმა მოიპოვა.

# ჭაბუკთა-III

**23 ივლისს** იტალიაში დაიწყება ჭაბუკ კალათბურთელთა III მსოფლიო ჩემპიონატი. გადავავლოთ თვალი ამ ჩემპიონატების ისტორიას.

I ჩემპიონატი გაიმართა ბრაზილიაში, 1979 წლის 15-25 აგვისტოს. უძლიერესის ტიტული მოიპოვა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა, რომელიც, მიმომხილველთა აზრით, მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე. გუნდმა დამაჯერებლად მოუგო ყველა კონკურენტს: ბრაზილიელებს 20 ქულით აჯობა, არგენტინელებს — 37-ით, იუგოსლავიელებს — 25-ით, საბჭოთა კავშირის ნაკრებს — 16-ით, იტალიას — 57-ით. ბრაზილიის ნაკრების წარმატება (მეორე ადგილი) მნიშვნელოვნად განაპირობა „ტორსიდის" მხურვალე მხარდაჭერამ. ბრაზილიელებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს არგენტინელებს (74:73) და საბჭოთა სპორტსმენებს (76:75). აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში საბჭოთა გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო ჩვენი თანამემამულე ზურაბ გრძელიძე (14 ქულა), ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ არგენტინელებს. საბჭოთა კალათბურთელებმა V ადგილი დაიკავეს. ჩვენი გუნდის წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ის მიიჩნიეს, რომ მას სუსტი ცენტრები ჰყავდა.

მსოფლიოს II ჩემპიონატი გაიმართა ესპანეთში 1983 წლის 11-20 აგვისტოს. ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლა ორ ფავორიტს აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ნაკრებებს შორის გაჩაღდა. დაძაბულ ფინალურ ბრძოლაში გაიმარჯვეს (81:77) და ჩემპიონობა შეინარჩუნეს ამერიკელებმა. საბჭოთა გუნდს ვერცხლის მედლები ერგო. ეს უფრო იმიტომ იყო გულდასაწყვეტი, რომ ჩვენი გუნდი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩემპიონატის მონაწილეთა შორის. მის ღირსებას იცავდნენ: შარუნას მარჩიულონისი, იგორ მიგლინიექსი, ვალერი ტიხონენკო, ალექსანდრე ვოლკოვი, არვიდას საბონისი, კალათბურთელები, რომლებიც დღეს საბჭოთა კავშირის ნაკრების წამყვანი მოთამაშეები არიან.

მსოფლიოს III ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს ორ ჯგუფად გაყოფილი 12 გუნდი. პირველში არიან აშშ-ის, იუგოსლავიის, პუერტო-რიკოს, ავსტრალიის, ჩინეთის, ნიგერიის გუნდები, მეორე ჯგუფში — საბჭოთა კავშირის, იტალიის, ბრაზილიის, კანადის, გფრ-ის, ტაივანის გუნდები. ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ნახევარფინალში ითამაშებენ, მათგან გამარჯვებულნი კი 30 აგვისტოს ფინალურ მატჩში იასპარეზებენ. მიმომხილველები მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტებად მიიჩნევენ: აშშ-ის, საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, იტალიის, ბრაზილიის, კანადის გუნდებს, თუმცა, ასეთი რანგის შეჯიბრებამ შეიძლება სიურპრიზი შემოგვთავაზოს.

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 29-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 3 (ბობსლეი), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 28 (ტყვიის სროლა), 31 (ფარიკაობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 6 (ძიუდო), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 12 (ტანვარჯიში), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 31 (ფარიკაობა).

# მოკრივე-მოჭიდავე

საჭიდაო არენაზე სახელმოხვეჭილ ბევრ ათლეტს უცდია ბედი რინგის კვადრატზე. მაგალითის მოყვანა ქართული სპორტის ისტორიიდანაც შეიძლება. ლეგენდარული ქართველი ფალავანი მიშიკო მაჩაბელი, ვისაც თვით ივან პოდუბნიმაც კი ძვრა ვერ უყო ხალიჩაზე, ოციან წლებში ისე გაიტაცა კრივმა, რომ საგანგებო მზადება დაიწყო პროფესიონალი მწვრთნელის ზედამხედველობით და ბაქოში გამართულ დიდ ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა. მაჩაბელმა აშკარა უპირატესობით დაამარცხა აზერბაიჯანის მაშინდელი ჩემპიონი ალი მუჰამედი, ვისმა სეკუნდანტმაც მერვე რაუნდში, დანებების ნიშნად, პირსახოცი გადმოაგდო რინგზე.

მომხდარა ასეც: რინგის ოსტატებს საჭიდაო ხალიჩაზე უცდიათ ბედი.

ამერიკელმა მოკრივემ და მოჭიდავემ ჩარლი კუტლერმა, ეროვნებით ჩეხმა, პროფესიით ინჟინერმა, სპორტული კარიერა დაიწყო როგორც მოკრივემ. ჯერ კიდევ 1903 წელს მან ზედიზედ მოიპოვა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება და წააგო მხოლოდ მომავალ მსოფლიო ჩემპიონ ჯეკ ჯონსონთან, ვისი სახელიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი კრივის ისტორიაში.

181 სმ. სიმაღლის და 105 კგ. წონის კუტლერი იყო არაჩვეულებრივად სწრაფი და ღონიერი სპორტსმენი. ჭიდაობა იცოდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა რინგზე წარმატებით იბრძოდა პროფესიონალ მოკრივეებთან ერთად. შემდგომ, როცა კრივს ჩამოშორდა, ცნობილი მწვრთნელის პატრიკ კოლინსის ხელმძღვანელობით დაიწყო ვარჯიში. ჩარლი კუტლერის კარიერა საჭიდაო ხალიჩაზე წარმატებებით დაიწყო — სპორტსმენმა თერთმეტი მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრიდან ყველა მოიგო. ბოლოს შებედა ამერიკაში ჩასულ, ჩემპიონთა ჩემპიონად წოდებულ ხალიჩის ესტონელ დიდოსტატს, ალექს აბერგს, ვისაც ძველი სამყაროს ყველაზე ძლიერი მოჭიდავე, ფრენკ გოჩიც კი გაურბოდა. ჩარლი კუტლერი სამჯერ დაეჭიდა უძლეველ ალექს აბერგს. მართალია, სამივე შეხვედრა წააგო, მაგრამ საერთო ჯამში რამდენიმე საათს გაუძლო ხალიჩის ამ დიდოსტატს, გამორჩეულს ძალითა და ილეთების კასკადებით, რამდენჯერმე დიდი ძალით გაგლიჯა მისი შებოჭვა, ჩოქბჯენშიც ჩააყენა და ხალიჩაზეც მოისროლა. ჩარლი კუტლერისათვის ეს დიდი წარმატება იყო.

ძველ მოკრივეებს, ვინც ბრძოლას ღირსეულთან წააგებდა, წესად ჰქონდათ ჯეროვნად შეეფასებინათ მეტოქის საბრძოლო თვისებები.

„ისე შემომკრა, მზე დაბნელდა", „დღე ღამედ მეჩვენა", „მისი მუშტი კამეჩს წააქცევს", — ასე იხსენიებდნენ რინგის ძველი ოსტატები ღირსეულ მეტოქეებს.

ჩარლ კუტლერმაც დაიცვა ეს ტრადიცია — „მანჰეტენ ოპერა ჰაუზის" ესტრადაზე გამოსულმა თქვა, ალექს აბერგი ისეთი ძლიერია, ხელი რომ ჩამჭიდა, ძვლებმა ჭახაჭუხი დამიწყესო და ხალიჩის ესტონელი დიდოსტატი ბერძნულ-რომაული სტილის ყველა დროის ყველაზე დიდ მოჭიდავედ აღიარა.

**ედიშერ ბიორბაძე.**

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 21 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ოლიმპიურ გუნდებს შორის: სსრ კავშირი-პოლონეთი (მეორე ტაიმი) — **22.40 (2)**; საერთაშორისო ტურნირი ფრენბურთში. ა. ჩინილინის ხსოვნის თასზე — **23.25 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 21 ივლისი.** საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ოლიმპიურ გუნდებს შორის: სსრ კავშირი — პოლონეთი — **22.40.**

რედაქტორი **თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07021